




საშურის მოახბე



№16-17 (267-68)

11 აგვისტო, სამშაბათი, 2020 წელი

მეგობრობაში, რომელსაც საშურის მოსახლეობა წვდომა ექნება

ჩვენი მკითხველისათვის უკვე ცნობილია ის სასიხარულო ფაქტი, რომ მიმდინარე წლის 31 ივლისს, საფრანგეთის განვითარების სააგენტომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხელი მოაწერეს 58 მილიონი ევროს ოდენობის სესხის ხელშეკრულებას საშურის წყალმომარაგებისა და წყალანიერების სისტემების აღდგენის სამუშაოების დასაფინანსებლად. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად კი ევროკავშირმა დამატებით 7,15 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი გამოყო. ჩვენ შევხვდით საშურის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გურასპაშვილს და



გთხოვთ უფრო დაწვრილებით მოეთხრო აღნიშნული პროექტის შესახებ.
- ბატონო გიორგი, თქვენს წინასაარჩევნო პროგრამაში, უმთავრეს პრიორიტეტად სამი მსხვილი პროექტის განხორციელება იყო. ევროული მოდელის სასპორტო კომპლექსი „ივერიის“ სტადიონის მშენებლობა და საშურის წყალ-კანალის სისტემის სრული რეაბილიტაცია. სიმართლე გითხრათ, ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ამ დანაპირების შესრულებას, მაგრამ, საბედნიეროდ, დანაპირები შესრულდა – პირველი, აგერ ერთი წელია ექსპლუატაციაშია, მეორე – უახლოეს პერიოდში დასრულდება და მესამე იწყება. განსაკუთრებით აღსანიშნავია საშურის წყალმომარაგებისა და წყალანიერების სისტემის აღდგენის პროექტი. მსგავსი მასშტაბის პროექტი არცკი მახსენდება, რომ, საქართველოს მასშტაბით, უახლოეს ისტორიაში, რომელიმე ქალაქში ჩატარებულიყო. რა ძალისხმევა დაჭირდა, რომ ეს პროექტი სისრულეში მოსულიყო?

- მოგესხებათ, საშურში, სასმელი წყლის პრობლემა ათეული წლებია დგას. იგივე ითქმის წყალანიერების სისტემებზე. ჯერ კიდევ კომუნისტური ეპოქიდან დაიწყო საშური ამ პროექტზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მასშტაბიდან გამომდინარე, ფინანსების მოძიება ვერასოდეს მოხერხდა. ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე, ფაქტობრივად, არ ყოფილა რაიმე სახის სამთავრობო ან რეგიონული შეხვედრები თუ კონფერენციები, სადაც ეს პრობლემა არ გაგვეყვებინა. უდიდესი სამუშაოები გასწიეს ინფრასტრუქტურის სამინისტრომ და რეგიონის ხელმძღვანელობამ. პირველი მიზანი საპროექტო სამუშაოები იყო. ამას წარმატებით გაერთვა თავი. შემდგომი ეტაპი კი ფინანსების მოძიება გახლდათ და, როგორც ხედავთ, ესეც მოხერხდა.

- როდის დაიწყება პროექტის განხორციელება?
- სავარაუდოდ, წელსვე. მოგესხებათ, ამ პროექტისათვის 200მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება, ამიტომ საერთაშორისო ტენდერი უნდა გამოცხადდეს. შესაბამისი პროცედურები უკვე სრულდება და უახლოეს პერიოდში ტენდერი დაიდება.
- გასაგებია, რომ ეს სამუშაოები ქალაქის ყველა ქუჩის გადათხრას მოითხოვს, როგორ და როდის მოხდება მათი რეაბილიტაცია?
- პროექტი ითვალისწინებს, რომ ეს პარალელური სამუშაოები იყოს და ყველა ქუჩამ, საბოლოოდ, პირვანდელი სახე უნდა მიიღოს. ასე, რომ დროის რაღაც მცირე მონაკვეთში, ბუნებრივია, ჩვენს თანამოქალაქეებს, გარკვეული დისკომფორტი ექნებათ და მაგრამ ქუჩების საფარი სწრაფად აღდგება და ქალაქი ჩვეულ რიტმს არ დაკარგავს.
- ალბათ ამის გამოც იყო, რომ საშურში ბოლო წელია, ქუჩების ინფრასტრუქტურული სამუშაოები არ ჩატარებულა.
- რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცოდით, რომ მოლაპარაკებები ბოლო სტადიაში იყო და მუნიციპალიტეტის წევრანდელ ბიუჯეტში ეს თანხები არ მოხვდა. არც ჰქონდა აზრი, რაღვან, ფაქტობრივად, ეს წყალში გადაყრილი თანხები გამოვიდოდა. სამაგიეროდ, ეს ფინანსები, სურამისა თუ სხვა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლების ქუჩების რეაბილიტაციისაკენ მიიძღრა და საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა ან სრულდება.
- დასაქმებულებს უნდა გკითხოთ. ჩვენი თანამოქალაქეების ჩართულობა რა დონეზე იქნება ამ პროექტში?
- პროექტის განმახორციელებლებს, ერთ-ერთ პირობად სწორედ ამას წაუყენებენ, რომ სამუშაოებში ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა ჩაერთოს. ასე, რომ ძალიან ბევრი თანამოქალაქე დასაქმდება და მათი რიცხვი საკმაოდ სოლიდური იქნება.

- როდის დასრულდება პროექტი?
- მასშტაბი იმდენად დიდია, რომ, რა თქმა უნდა, უცებ არ მოხდება. სავარაუდოდ, სამი წელი დასჭირდება, რის შემდეგაც საშურს წყალმომარაგებისა და წყალანიერების აბსოლუტურად გამართული სისტემა ექნება, რაშიც სასმელი წყლის 24 საათიანი მომარაგება იგულისხმება.
მაშ ასე, უახლოეს პერიოდში იწყება მართლაც მეგობრობა, რომლის მსგავსი, მასშტაბებიდან გამომდინარე, საშურს არ ახსოვს და რომელიც ჩვენი ქალაქის ეკონომიკურ განვითარებაზე და აღმსავლავზე უდიდეს გავლენას იქონიებს.

გ. გოგოლაძე

საქართველოს მთავრობის დადგენილება №474 2020 წლის 29 ივლისი, ქ. თბილისი

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის სამემოდგომო გაწვევის შესახებ მუხლი 1
„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლისა და „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაზრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით:
1. მოქალაქეთა 2020 წლის სამემოდგომო გაწვევა განხორციელდეს 2020 წლის 3 აგვისტოდან 2020 წლის 26 დეკემბრამდე.
2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1500-ით.
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1432-ით.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1420-ით.
5. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 235-ით.
6. საქართველოს თავდაცვის ძალებში, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულ იქნენ 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.
7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში, ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული უწყებების წერილობითი მოთხოვნების შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში

მოქალაქეთა 2020 წლის სამემოდგომო გაწვევის პროცესი შესაბამის უწყებებში შეიძლება, შეწყდეს ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებამდე.
8. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ვალდებული არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის (შემდგომში – თბილისის რაიონი) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის (შემდგომში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში (შემდგომში – მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეული) რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სპორტის სამსახურის 12026002010003022192 სოციალური დაცვის სამინისტრომ, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში, განსაზღვროს ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც გაიგზავნებიან წვევამდებლები დამატებითი სამედიცინო გამოკვლევებისათვის.
10. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაზრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.
11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადგილებზე აღმოუჩინოს დახმარება მუნიციპალიტეტის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის სტრუქტურულ ერთეულებს იმ წვევამდებელთა მოძებნასა და მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის გამწვევი კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნიან ან სავარაუდოდ თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.
12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კოორდინაცია გაუწიოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს.

მუხლი 2 დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 3 აგვისტოდან.
პრემიერ - მინისტრი გიორგი გახარია
აღნიშნულ თემაზე მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება იხილეთ მე-8 გვერდზე



ს ა შ უ რ ი , ც ე ნ ც რ ა ლ უ რ ი მ თ ე ღ ა ნ ი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

მერის ბრძანება № 1250
05 / აგვისტო / 2020 წ.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა 2020 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მე-20-ე, 21-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე, 25-ე, 28-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 ივლისის № 474 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ თანახმად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად 2020 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გეგმა-გრაფიკის შესაბამისად მოხდეს წვევამდელთა გაწვევა;
2. სამხედრო ძალებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაწვეულ იქნან ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18-დან 27 წლამდე ასაკის წვევამდელნი, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება;
3. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისგან გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისიის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში;
4. ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონულ სამმართველოს, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 ივლისის № 474 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ პირველი მუხლის მე-11-ე პუნქტის შესაბამისად აღმოუჩინოს დახმარება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს;
5. დამტკიცდეს გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:	კომისიის
გიორგი გურასპაშვილი – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი;	კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე:	
ფილე//ტმპ/ტომცატგ-ტომცატგ-ტმპ/დ13კ886ე-77ფ7-4845-8ც75-ბბ2ა9ფც40ა5ფ.კტმლ 1/2 8/5/2020მიხეილ ბარბაქაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ხაშურის მერია პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი;	კომისიის წევრები:
გიორგი კაპანაძე – შსს ხაშურის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი;	
პავლე გაგნიძე – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი;	
ვასილ არჩვაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი;	
ვასილ მახარობლიძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის	

სპეციალისტი; კომისიის მდივანი:

ოლგა სიდროპულო – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი.

6. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 ივლისის № 474 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან 2020 წლის 03 აგვისტოდან 2020 წლის 26 დეკემბრამდე გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

7. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებიც სარგებლობენ სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გადავადებით საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით (მღველმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში) გათვალისწინებული საფუძვლების გაუქმების შემთხვევაში ვალდებულნი არიან საშემოდგომო გაწვევის პერიოდში გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში;

9. ბრძანება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს;


10. ბრძანება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის ვადაში.

მერი გიორგი გურასპაშვილი

D აშქარ ბარბაქაძის განცხადება

ჩემო ძვირფასო ძმაო, 30 წელი გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ, , ამ დღეებში კიდევ ერთხელ გადავიკითხე შენი წერილი, რითაც ამტკიცებ გმირობას. ეს წერილი ჩემთვის უძვირფასესია, ოპერაციის წინა საათები იყო, როცა იგი დაწერე.



„აბა, ომარჩიკ, ეს დღეც მოვიდა, არ ინერვიულო, მაგრამ იყავი და დედა არ დატოვოთ მარტო. აქ მომხედავენ ექიმები“. ჩემთვის ეს მართლაც გმირობაა. კაცი საოპერაციო მაგიდაზე იწვა, მოგეხსენებათ მაშინ, 1969 წელს, როდელი იყო გულის ოპერაცია, მაგრამ ჩვენ გვამხნევებდ“. ჩემო ძვირფასო, სანამ მე ცოცხალი ვიქნები, შენი სახელი დავიწვებას არ მიეცემა ჩვენს ახლობლებში. აქვე მინდა ჩემი ციცი, ვახტანგი და დაჩაგრული დედა მოვიგონო, რომელმაც ოთხი შვილი გაგვზარდა.. შენი სახელი უკვდავი იქნება. შენ იყავი ერუდირებული და განათლებული, ცეკვის ჯადოქარი. გვჯეროდვარს, რომ შენ მუდამ იქნები ჩვენს გულელებში, სამარადისო დიდება შენს სახელს!

შანი კაპარა ძმა ომარი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაშურის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

ბ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.